აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 7

10 ნოემბერი 2009 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიაში არსებული შენახვის ვადაგასული ზოგიერთი დოკუმენტაციის განადგურების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 13 ივლისის №3 განკარგულების, „დაწესებულების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტის (მათი შენახვის ვადების მითითებით) ნუსხის“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის 2009 წლის 5 მაისის №23 ბრძანების, მოქმედი ტიპიური ნუსხის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განადგურებული იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არსებული 2004 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 13 ივლისის №3 განკარგულებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის, „დაწესებულების საქმიანობის

პროცესში წარმოქმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტის (მათი შენახვის ვადების მითითებით) ნუსხის“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ, მოქმედი ტიპიური ნუსხის, და უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების (აქტის განადგურების შესახებ თან ერთვის) შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია